კონფერენცია

100 დღე ხელისუფლებაში: კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები

2013 წლის 18 თებერვალი

ღონისძიება ტარდება შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Sida) მხარდაჭერით.

I ნაწილი: ახალი მთავრობის გარდამავალი პერიოდის გამოწვევები

გარდამავალი მართლმსაჯულება და სამართლიანობის აღდგენა

მომხსენებელი: კახა კოჟორიძე, *„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“*

გარდამავალი მართლმსაჯულება და სამართლიანობის აღდგენის პროცესი მრავალი მიმართულებით შეიძლება იქნას განხილული, რომელთაგან რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს გამოვყოფთ:

წინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული წესით დაპატიმრებული პირების გათავისუფლება

2012 წლის სექტემბრის ბოლოს რამდენიმე დღის ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდა რამდენიმე ათეულ პირს, რომლებიც მაშინდელი ოპოზიციის წარმომადგენლები ან სამოქალაქო აქტივისტები იყვნენ. „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ (საია) მიერ შესწავლილ შემთხვევებში მათი დაკავება სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივაციით იყო განპირობებული.

ოქტომბრის პირველ კვირაში პროკურატურის მიმართვის საფუძველზე სასამართლომ დაკავებულ პირებს შეუმცირა ადმინისტრაციული პატიმრობის ვადა ფაქტობრივად უკვე მოხდილ ვადამდე, რის შედეგადაც აღნიშნული პირები გათავისუფლდნენ საპატიმრო დაწესებულებებიდან. პროკურატურისა და სასამართლოს ეს ქმედება, ფაქტობრივად, აღნიშნულ პირთა დაკავების პოლიტიკური მოტივაციის აღიარება იყო და სამართლიანობის აღდგენის პირველ მცდელობას წარმოადგენდა. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლების განმავლობაში, მიუხედავად ადმინისტრაციული პატიმრობის ხშირი გამოყენებისა, ჩვენთვის ცნობილ არცერთ შემთხვევაში პატიმრობის ვადის შემცირება პროკურატურის სასამართლოსადმი მიმართვის საფუძველზე არ მომხდარა.

ამნისტია და პოლიტიკური პატიმრების აღიარების პროცესი

ა. პოლიტიკური პატიმრის სტატუსის მინიჭება

საია-მ 2011-2012 წლებში გამოსცა ორი კვლევა, სადაც საქმეთა დეტალური შესწავლის შემდეგ რამდენიმე ათეული პირი სავარაუდოდ პოლიტიკურ პატიმრად იქნა მიჩნეული. საია-ს გარდა აღნიშნულ პრობლემაზე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიც მუშაობდნენ.

2012 წლის 1 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტთან შეიქმნა პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და დევნილ პირთა საკითხების შემსწავლელი სამუშაო ჯგუფი. აღნიშნული ჯგუფი დაკომპლექტდა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან. საია სხვა ორგანიზაციებთან ერთად შევიდა ამ ჯგუფის შემადგენლობაში. თუმცა პროცესი ხარვეზებით წარიმართა, მაგალითად: სამუშაო ფორმატი და შემჭიდროებული ვადები არ იძლეოდა საკითხის საფუძვლიანად შესწავლის შესაძლებლობას. თითოეული საქმის სათანადო შესწავლისა და გაანალიზების გარეშე პირის პოლიტიკურ პატიმრად მიჩნევა, ცხადია, ნდობას უკარგავდა როგორც პროცესს, ასევე – საბოლოო შედეგს. სწორედ ამიტომ საია-მ და „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“ დატოვეს ჯგუფი. საბოლოოდ, საქართველოს პარლამენტმა 200-მდე პირს მიანიჭა პოლიტიკური პატიმრის სტატუსი, საიდანაც დაახლოებით 70 პირისთვის ამ სტატუსის მინიჭებას საია-ს კვლევები დაედო საფუძვლად. ჩვენ არ შეგვისწავლია სხვა პირთა საქმეები, შესაბამისად ვერ შევაფასებთ, იყო თუ არა პოლიტიკური მოტივაცია მათი დაპატიმრების საფუძველი.

უარყოფითად ვაფასებთ საქართველოს პარლამენტის ინიციატივას კვლავ გააგრძელოს პოლიტპატიმრების ახალი სიის ფორმირება. ვფიქრობთ, რომ იუსტიციის სამინისტროს ინიციატივა მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნასთან დაკავშირებით პოზიტიური ინიციატივაა. აღნიშნულ ფორმატში შესაძლებელია პოლიტპატიმრების საქმეების განხილვაც.

<u>ბ. ამნისტია</u>

ბოლო წლების განმავლობაში მართლმსაჯულების სისტემა არაერთხელ გამხდარა სამოქალაქო საზოგადოების მწვავე კრიტიკის საგანი. სამწუხაროდ, სასამართლო იქცა ე.წ. „ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის“ განმახორციელებელ რგოლად, პრაქტიკაში ვერ ხდებოდა სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების რეალიზაცია. სამართალდამცავი ორგანოების პოლიტიზაციამ, სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთების დაბალმა ხარისხმა, გამამართლებელ განაჩენთა უკიდურესად მცირე რაოდენობამ, სასჯელების შეკრებითობის პრინციპის დანერგვამ, ზედმეტად მკაცრმა სანქციებმა, სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში განვითარებულმა „სისტემურმა მარცხმა“ და სხვა ფაქტორებმა საზოგადოებაში უსამართლობის საფუძვლიანი განცდა გააჩინა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, გამართლებული იყო ამნისტიის განხორციელება. ამნისტიის კანონში ცალკე პუნქტად შევიდა პოლიტპატიმრების სია, რაც იურიდიული პრაქტიკის თვალსაზრისით სადაო შეიძლება იყოს.

<u>ყოფილი თანამდებობის პირთა საქმეების განხილვა სასამართლოში</u>

ზოგადად შეინიშნება, რომ სისხლის და ადმინისტრაციული საქმეების განხილვის დროს იმატა ფიზიკურ პირთა სასარგებლოდ პროცესის წარმართვის შემთხვევებმა. სასამართლო გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის კუთხით ჯერჯერობით დროის სიმცირის გამო კომპლექსური და ღრმა ანალიზის გაკეთება შეუძლებელია.

აქვე აღნიშვნას იმსახურებს არჩევნების შემდეგ სისხლის სამართლის საქმეებზე აღმკვეთი ღონისძიების შეფარდებისას რადიკალურად შეცვლილი სურათი. ჩვენი მონიტორინგის ანგარიშები ცხადყოფს, რომ გასული წლების განმავლობაში შუამდგომლობა, რაც პროკურატურის მიერ აღმკვეთი ღონისძიების სახით იქნა დაყენებული, სასამართლომ დააკმაყოფილა ზუსტად იმ სახით, რა სახითაც პროკურატურა ითხოვდა. გამონაკლისი არ ყოფილა არცერთი შემთხვევა. დაცვის მხარის შუამდგომლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში კმაყოფილდებოდა, თუ მას პროკურატურა ეთანხმებოდა.

<u>ყოფილი თანამდებობის პირთა დაკავება და გამოძიება</u>

ყოფილი თანამდებობის პირების მიმართ დაწყებულ გამოძიებას მკვეთრად უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა. ვფიქრობთ, შეუძლებელია იმ შეფასების გაკეთება, თუ რამდენად პოლიტიკურად მოტივირებული იყო ამა თუ იმ პირის დაკავება დაკავების მასალების წინასწარ შესწავლის და ანალიზის გარეშე.

ჩვენ მიერ ამ ეტაპზე მიმდინარეობს საქმეთა შესწავლა და ჯერჯერობით ყველაზე დიდი კითხვის ნიშნები კვლავ რჩება თენგიზ გუნავას მიერ იარაღის უკანონო ტარებისა და ნარკოტიკების შეძენა-შენახვის ბრალდების საქმესთან დაკავშირებით.

მიგვაჩნია, რომ აუცილებელია იმ პირთა პასუხიმგებლობის საკითხის დაყენება, რომელთაც ჩაიდინეს დანაშაული, მიუხედავად იმისა თუ რა თანამდებობაზე იმყოფებოდნენ ან იმყოფებიან ისინი. თუმცა გამოძიების პროცესის მიმართ კითხვის ნიშნები არ უნდა დარჩეს. ამასთანავე, აბსოლუტურად ყველა პირს ევალება, რომ ითანამშრომლოს გამოძიებასთან, რადგანაც გამოძიების ეფექტურად წარმართვა ყველას ინტერესებში უნდა იყოს.

ასევე საჭიროა გამოძიების პროცესი უფრო ეფექტურად წარიმართოს და გამოძიების ინტერესებისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის დაურღვევლად საზოგადოებას ინფორმაცია მიეწოდოს იმ საქმეებთან დაკავშირებით, სადაც განსაკუთრებით მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს და, მაღალი ალბათობით, სამართალდამცავი ორგანოების, სპეცდანიშნულების რაზმების თუ სხვა პირთა მიერ დანაშაულის მასობრივად ჩადენას ჰქონდა ადგილი, მაგალითად: 2007 წლის 7 ნოემბრის საქმე; 2009 წლის 6 მაისის საქმე; 2009 წლის 15 ივნისის საქმე; სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში წამებისა და არაადამიანური მოპყრობის საქმეები; 2011 წლის 26 მაისის საქმე; 2012 წლის პირველ ოქტომბერს ხაშურის საარჩევნო ოლქის რიგ უბნებზე სპეცდანიშნულების რაზმებისა და შეიარაღებული პირების შეჭრის საქმე; სახელმწიფოს სასარგებლოდ საკუთრების მასობრივი ჩუქებების შემთხვევები და ა.შ.

<u>არჩევნების შემდგომ პერიოდში მომხდარი დანაშაულის ნიშნების შემცველი ფაქტების გამოძიება</u>
მიგვაჩნია, რომ ზოგიერთ საქმეზე სამართალდამცავ ორგანოებს სათანადო რეაგირება არ მოუხდენიათ, მაგალითად:

- ადგილობრივ თვითმმართველობებში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, სადაც იკვეთებოდა სხვადასხვა დანაშაულის ნიშნები („იძულება“; „მუქარა“; „სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება“; „სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლება“ და სხვა);
- ჭიდაობის ფედერაციაში მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით (მით უმეტეს, რომ დანაშაული სავარაუდოდ პოლიციის აკადემიის პრორექტორმა ჩაიდინა);
- პოლიციის შენობაში ბექა და ლაშა გოჩიაშვილების დაკითხვის ფაქტთან დაკავშირებით, რა დროსაც, მათი განცხადებით, ადგილი ჰქონდა ჩვენების მიღების იძულებას;

<u>მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის შექმნა</u>
მართლმსაჯულებასთან მიმართებით არსებულმა მნიშვნელოვანმა პრობლემებმა არაერთი უკანონო და დაუსაბუთებელი განაჩენის თუ სხვა სასამართლო გადაწყვეტილების მიღება განაპირობა. დღეის მდგომარეობით ეს გადაწყვეტილებები კანონიერ ძალაშია შესული და მათი გაუქმების სამართლებრივი გზები ფაქტიურად არ არსებობს. შესაბამისად, მისასალმებელია „მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი სახელმწიფო კომისიის შექმნის“ იდეა, რომელიც იუსტიციის სამინისტროს მეირ შექმნილ კანონპროექტშია ასახული. აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით საია-ს გარკვეული შენიშვნები აქვს, თუმცა იდეა მნიშვნელოვანი და აუცილებლად განსახორციელებელია. კანონპროექტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს, რომ კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათი ექნება და საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილებას სასამართლო მიიღებს.

ახალი ხელისუფლება და ადამიანის უფლებები: გამოწვევები და პრიორიტეტები

მომხსენებელი: გიორგი გოგია, *Human Rights Watch*

საქართველოს ახალ ხელისუფლებას მემკვიდრეობით ერგო ადამიანის უფლებათა დარგში საკმაოდ მძიმე მდგომარეობა. სამართლიანობის აღდგენა საზოგადოების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოთხოვნაა. დღევანდელი ხელისუფლება აცხადებს, რომ 7,000-ზე მეტი საჩივარი მიიღო წინა ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევასთან დაკავშირებით. პროკურატურა ათეულობით სისხლის სამართლის საქმეს იძიებს და ოცზე მეტი ადამიანია დაკავებული. ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და უფლებების დარღვევის შემთხვევათა გამოძიებისას ხელისუფლებამ არ უნდა გამოიყენოს პოლიტიკურად მოტივირებული დენვა, უნდა

უზრუნველყოს საზოგადოების მხრიდან მისი საქმიანობის მაქსიმალური კონტროლი და პრიორიტეტად უნდა გამოაცხადოს ყველაზე მძიმე დარღვევების გამოძიება.

ახალი ხელისუფლებისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი უნდა იყოს ციხეებში არსებული წამებისა და არაადამიანური მოპყრობის პრაქტიკის აღკვეთა. მიმდინარე გამოძიების სრული გამჭვირვალობა, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა, დამნაშავეთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა და დაზარალებულთა ფსიქო-სოციალური და სამართლებრივი რეაბილიტაცია ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი ამოცანა და საერთაშორისო ნორმებით ნაკისრი ვალდებულებაა.

აგრეთვე უმნიშვნელოვანესია, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის დაუყოვნებლივი რეფორმა, რომელიც 90-დღიან ადმინისტრაციულ პატიმრობას ითვალისწინებს, საერთაშორისო სტანდარტებით გათვალისწინებული სათანადო საპროცესო ნორმების უხეში დარღვევით.

სამართლიანობის აღდგენის გზაზე უმნიშვნელოვანესია მართლმსაჯულების ხარვეზების გამოსწორება. იმ პირობებში, როდესაც საქმეების 87 პროცენტზე მეტი საპროცესო გარიგებით სრულდებოდა და 98 პროცენტზე მეტ შემთხვევაში მოსამართლეებს გამოჰქონდათ გამამტყუნებელი განაჩენები, მსჯავრდებულთა საკმაოდ დიდ პროცენტს შეიძლება მიაჩნდეს თავი მართლმსაჯულების ხარვეზის მსხვერპლად. მნიშვნელოვანია, ხელისუფლებამ შექმნას ისეთი ინსტიტუციური მექანიზმი, რომელიც თანაბარი შესაძლებლობის პირობებში შეძლებდა ამ ხარვეზების აღმოფხვრას. მაგალითად, როგორიცაა სპეციალიზებული უწყების შექმნა, რომელსაც მიენიჭებოდა სისხლის სამართლის კოლეგიებში მართლმსაჯულების ხარვეზების შემთხვევათა შესწავლის უფლებამოსილება და თუ იგი მიიჩნევდა, რომ საქმეში სამართლიანი სასამართლოს ნორმები იქნა დარღვეული, შეძლებდა მის გადაცემას სააპელაციო სასამართლოში.

საკადრო პოლიტიკა საჯარო სამსახურში

მომხსენებელი: ლევან ნატროშვილი, *„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“*

1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მთელი ქვეყნის მასშტაბით საჯარო სამსახურებში სერიოზული ცვლილებები განხორციელდა ან მიმდინარეობს. საჯარო უწყებების გარკვეულ რაოდენობაში საკმაოდ ბევრმა ადამიანმა უკვე დაკარგა სამსახური და ეს პროცესი ახლაც გრძელდება. გათავისუფლებები მიმდინარეობს როგორც სახელმწიფო უწყებების ცენტრალურ აპარატებში, ასევე – რეგიონებში. აღნიშნული პროცესის დროს რამდენიმე არასასურველი ტენდენცია და ფაქტი იკვეთება, კერძოდ:

- საჯარო მოსამსახურეების დიდი ნაწილი თვითონ წერს განცხადებას სამსახურიდან წასვლის შესახებ, რაც საქართველოში უმუშევრობის მაღალი დონის ფონზე კითხვებს ბადებს;
- ბევრ შემთხვევაში ამ ადამიანებს ზემდგომი თანამდებობის პირები აიძულებენ განცხადების დაწერას. აღნიშნულ ფაქტებს ზოგიერთი თანამდებობის პირი საჯაროდაც ადასტურებს;
- რეგიონებში სამსახურიდან დათხოვნები ძირითადად ხასიათდება იმით, რომ არ იქმნება საატესტაციო კომისიები ან ასეთის არსებობის შემთხვევაში არ არის უზრუნველყოფილი მათი მიუკერძოებლობა;
- ახალი კადრების აყვანის პროცესი ხასიათდება იმით, რომ კონკურსის გარეშე და ხშირ შემთხვევაში გაუგებარი კრიტერიუმებით ხდება თანამშრომლების აყვანა.

მსგავსი ტენდენციებისა და ეჭვების თავიდან ასაცილებლად საჭიროა შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- ადგილობრივი თვითმმართველობების ხელმძღვანელმა თანამდებობის პირებმა საკადრო ცვლილებები უნდა განახორციელონ მხოლოდ კონკურსისა და ატესტაციის გზით და მიღებული გადაწყვეტილებები მაქსიმალურად დაასაბუთონ, ასევე მეტი ინფორმაცია მიაწოდონ საზოგადოებას ახლადაყვანილი პირების სამსახურებრივი გამოცდილების შესახებ;
- აუცილებელია სამართალდამცავმა ორგანოებმა, სათანადო რეაგირება მოახდინონ საჯარო სამსახურებიდან უკანონოდ დათხოვნის, მათ შორის, განცხადების დაწერის იძულების გახშირებულ ფაქტებზე;
- სასურველია პრემიერ მინისტრის აპარატთან შეიქმნას მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც გააკონტროლებს საჯარო სამსახურში მიმდინარე პროცესებს, მათ შორის, განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს რეგიონებს.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ ადგილობრივ თვითმმართველობებში განვითარებული მოვლენები: სიტუაციის მოკლე მიმოხილვა

მომხსენებელი: ნინო ლომჯარია, *„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“*

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების ცვლილების პროცესი, ერთ შეხედვით, არ უნდა შეხებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, არჩევნების დასრულებისთანავე ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში ხელმძღვანელი პირების შეცვლის პროცესი დაიწყო. ცვლილებები ადგილობრივ თვითმმართველობებში უმეტეს შემთხვევაში მოქალაქეთა საპროტესტო აქციების ფონზე მიმდინარეობდა. ადგილობრივი მოსახლეობა, უმეტესად „ქართული ოცნების“ ადგილობრივი მხარდამჭერები და აქტივისტები, ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელ პირთა გადადგომის მოთხოვნით საპროტესტო აქციებს მათთვის მისაღები კანდიდატურის დანიშვნის მოთხოვნით მართავდნენ.

2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნებიდან დღემდე საქართველოს მასშტაბით თანამდებობა დატოვა 46-მა გამგებელმა და 24-მა საკრებულოს თავმჯდომარემ. აქციები დღემდე 28 მუნიციპალიტეტში გაიმართა, აქედან 24 შემთხვევაში საზოგადოების პროტესტი უკანონო ქმედებებში, კერძოდ, ძალადობაში, შენობების შესასვლელების ბლოკირებაში, შენობაში შეჭრასა და საკრებულოს სხდომის ჩაშლაში გამოიხატა.

ახლად დანიშნულმა თანამდებობის პირებმა საკადრო ცვლილებების განხორციელება გამგეობისა და საკრებულოს აპარატებში დაიწყეს. მასიური საკადრო ცვლილებები ძირითადად 21 მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა. როგორც წესი, თანამშრომლები პირადი განცხადების საფუძველზე თავისუფლდებიან, რასაც, ხშირად წინ უძღვის ხელმძღვანელ პირებთან თათბირი.

<u>შეფასებები და რეკომენდაციები:</u>

ჩვენ არ ვამართლებთ იმ უკანონო ზეწოლას და ძალადობას, რაც მთელ რიგ მუნიციპალიტეტებში ფიქსირდება. სამწუხაროდ, აღნიშნული ტენდენცია კვლავაც გრძელდება და ხელისუფლება არ იღებს ეფექტურ ზომებს მათი პრევენციისათვის. ვფიქრობთ, რომ თვითმმართველობებში ძალაუფლების ცვლილებების პროცესი მხოლოდ კანონით დადგენილ პროცედურათა დაცვით

უნდა მიმდინარეობდეს და საქართველოს ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს თვითმმართველობების ზეწოლისგან თავისუფალ გარემოში ფუნქციონირება.

მნიშვნელოვანია, რომ შეწყდეს ის მანკიერი პრაქტიკა, რაც თანამშრომელთა პირადი განცხადების საფუძველზე გათავისუფლებას გულისხმობს და საჭიროების შემთხვევაში თანამშრომელი მხოლოდ შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე გათავისუფლდეს.

მიგვაჩნია, რომ შექმნილი სიტუაცია კიდევ ერთხელ წარმოაჩენს თვითმმართველობის რეფორმის განხორციელების აუცილებლობას უახლოეს მომავალში, რათა უზრუნველყოფილი იყოს თვითმმართველობის რეალური დამოუკიდებლობა და მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებში ჩაურევლობა. მნიშვნელოვანია, რომ რეფორმის პროცესი მაქსიმალურად გამჭვირვალედ წარიმართოს და მასში ჩართულობის შესაძლებლობა ყველა დაინტერესებულ მხარეს დროულად მიეცეს.

სასამართლო სისტემის რეფორმა

მომხსენებელი: კახა კოჟორიძე, *„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“*

იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებულია და პარლამენტში განსახილველად შეტანილია კანონპროექტი „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ. კანონპროექტი ასახავს სასამართლო სისტემასთან მიმართებით არასამთავრობო სექტორის წლების განმავლობაში დაგროვებულ რეკომენდაციებს. რეფორმის ფარგლებში აღსანიშნავია რამდენიმე ასპექტი:

- იზრდება ინდივიდუალური მოსამართლის როლი;
- ჟურნალისტებს ექნებათ სასამართლო სხდომების ტრანსლაციის შესაძლებლობა;
- იცვლება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესი;
- იზრდება სისტემის შიგნით მოსამართლეთა თვითმმართველობის ხარისხი;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კანდიდატის დასახელების უფლება კანონის მოქმედი რედაქციით აქვს მხოლოდ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს. კანონპროექტით ეს უფლება ექნება ნებისმიერ მოსამართლეს;
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის ასარჩევად კენჭისყრა ჩატარდება ფარულად და ა.შ.

კანონპროექტის თანახმად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყველა წევრს უწყდება უფლებამოსილება. საბჭოს, როგორც სასამართლო სისტემის უმნიშვნელოვანესი რგოლის სისტემური განვითარებისთვის უმჯობესი იქნება თუ უფლებამოსილება არ შეუწყდებათ მოსამართლეთა კონფერენციის მიერ არჩეულ წევრებს.

მედიაგარემო საქართველოში

მომხსენებელი: მათიას ჰუტერი, *„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“*

მედიაგარემო არჩევნების შემდეგ უფრო პლურალისტური ნიშნებით ხასიათდება. მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას აქვს წვდომა ინფორმაციის სხვადასხვა წყაროზე, ხელისუფლება არ ქმნის ხელოვნურ ბარიერებს როგორც მედიასაშუალებებისათვის, ისე მოსახლეობისათვის.

მისასალმებელია, რომ არჩევნების შემდეგ არ გამოვლენილა ჟურნალისტებისა და მედიაში მომუშავე პროფესიონალების ცემის, დაკავების, დაშინების თუ დაშანტაჟების ფაქტები.

მთავრობის ცვლილების შემდეგ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. სამთავრობო სტრუქტურები უფრო აქტიურად თანამშრომლობენ ჟურნალისტებთან და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან, პასუხობენ განაცხადებს საჯარო ინფორმაციის შესახებ.

დეკემბერში პარლამენტს მაუწყებლობის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების კანონპროექტი წარუდგინეს, რომელიც მიზნად ისახავს: ა) მუდმივი სავალდებულო ტრანზიტის („must carry“) და ე.წ. „must-offer” ნორმების შემოღებას (ავტორიზებული პირების ვალდებულება საკუთარ პაკეტებში განათავსონ მაუწყებლები, რომელთაც საინფორმაციო პროგრამები გააჩნიათ და მაუწყებელთა ვალდებულება საკუთარი სიგნალი ყველა ოპერატორისათვის ხელიმისაწვდომი გახადონ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე) ბ) ტელეკომპანიების დავალდებულებას, საჯარო გახადონ ინფორმაცია მათი ფინანსებისა და საქმიანობის შესახებ. გ) საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრების არჩევის წესის შეცვლას და დ) აჭარის ტელევიზიის საზოგადოებრივი მაუწყებლის სტატუსით ჩამოყალიბებას (ამჟამად აჭარის ტელევიზია ადგილობრივი მთავრობის დეპარტამენტია)

დეკემბერში, რამდენიმე წლიანი დაგვიანებით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისთვის მზადება დაიწყო. ამ პროცესის დასრულება 2015 წლის ივნისამდე უნდა მოესწროს, თუმცა გარემოებების გათვალისწინებით, დარჩენილი დრო საკმარისი არ არის ამ კომპლექსური და ძვირადღირებული ღონისძიების გასატარებლად. მიუხედავად იმისა, რომ პროცესი ჩართულობის მაღალი დონით გამოირჩევა, ის არათანმიმდევრულობით და არაეფექტური მმართველობით ხასიათდება.

საქართველოში ინტერნეტი თავისუფალია ხელისუფლების ცენზურისგან, თუმცა პრობლემებია მომხმარებელთა პირადი მონაცემების დაუცველობასთან დაკავშირებით. ასევე გამოწვევას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ხელისუფლებას კვლავ გააჩნია წვდომა მობილური და ინტერნეტ პროვაიდერების ინფრასტრუქტურაზე, რაც მათ მომხმარებლების კომუნიკაციების სისტემატური და არალეგალური მეთვალყურეობის საშუალებას აძლევს.

საქართველოს მთავრობამ მედიაგარემოს შემდგომი გაუმჯობესების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს გარკვეულ საკითხებს.

- პარლამენტისთვის წარდგენილი კანონპროექტი ფართო საჯარო დისკუსიის საგნად უნდა იქცეს. სატელეკომუნიკაციო სექტორის წარმომადგენელთა პოზიცია გათვალისწინებულ უნდა იქნას, რათა დავრწმუნდეთ, რომ კანონი აღასრულებს სწორედ იმ მიზნებს, რისთვისაც იგი იქმნება.
- კანონპროექტით გათვალისწინებული ფინანსებისა და საქმიანობის საჯაროობის მოთხოვნები ტელეკომპანიებისთვის მძიმე ფინანსური ტვირთია - გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდისას უნდა შეიქმნას სპეციალური მექანიზმები, რომლებიც გამჭვირვალობის მოთხოვნების შესრულებას გაამარტივებს.
- პარლამენტის როგორც უმრავლესობა, ისე უმცირესობა, მხარს უნდა უჭერდეს მაღალპროფესიული და პოლიტიკურად დამოუკიდებელი საზოგადოებრივი მაუწყებლის შექმნას. მათ სამეურვეო საბჭოს წევრობის ისეთ კანდიდატების ნომინირება უნდა მოახდინონ, რომლებსაც აქვთ შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება და არ წარმოადგენენ არც ერთ პოლიტიკურ ძალას.

- მიუხედავად იმისა, რომ აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებლად გადაქცევასთან დაკავშირებით საყოველთაო თანხმობაა, რეფორმის განხორციელებისათვის საჭიროა ამ პროცესში ადგილობრივი დაინტერესებული ჯგუფებიც ჩაერთონ.
- ხელისუფლებამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის საკითხს და საშუალება მისცეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას უფრო აქტიური როლი ითამაშოს აღნიშნული პროცესის მსვლელობაში. ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე გადასვლის სამართლიანი, გამჭვირვალე და სწორად წარმართული პროცესი ქვეყანაში პლურალისტური, თვითმყოფადი და დამოუკიდებელი სამაუწყებლო გარემოს ჩამოყალიბების გარანტი უნდა გახდეს.
- ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ადამიანების პირადი მონაცემების ხელშეუხებლობა. უნდა შეწყდეს პირდაპირი წვდომა კომპანიების საკომუნიკაციო ინფრასქტრუქტურაზე, რაც შეუძლებელს ხდის სასამართლოების მიერ კანონით გათვალისწინებული ეფექტური მეთვალყურეობის განხორციელებას.

მედიის სამართლებრივი რეგულირება

მომხსენებელი: ლაშა ტუღუში, *„რეზონანსი“*

2004 წელს მედია კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები რევოლუციურ ნაბიჯად შეფასდა როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო საზოგადოების მიერ. შემოღებული ცვლილებებით სრულიად შეიცვალა გამოხატვის თავისუფლების უფლებისადმი მიდგომა. ჩვენმა საზოგადოებამ გაიზიარა და დაამკვიდრა ევროპული სტანდარტი. თუმცა სფეროს სწრაფმა განვითარებამ, „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის ხშირმა ცვლილებებმა და მიღებული კანონების პრაქტიკულმა გამოყენებამ, დღის წესრიგში დააყენა ახალი წესებისა და რეგულაციების შემოღება, რომელთა გარეშე, პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება მედია გარემოს გაუმჯობესება და პლურალიზმის ხელშეწყობა.

საინიციატივო ჯგუფმა ამ მიმართულებით მოამზადა საკანონმდებლო ცვლილებების კომპლექსური პაკეტი, რომელიც მიზნად ისახავს საშუალო და გრძლევადიან პერსპექტივაში მნიშვნელოვანი საკითხების ალხებურად გადაწყვეტას.

ცვლილებები ეხება 4 მნიშვნელოვან სფეროს: სავალდებულო ტრანზიტი, ტელევიზიების დაფინანსების გამჭვირვალობა, საზოგადოებრივი მაუწყებლის მმართველი ორგანოების ეფექტიანობის გაზრდა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტელერადიო დეპარტამენტის სტატუსის განსაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ ცვლილებები კომპლექსურად უნდა იქნეს განხილული და მათი იზოლირებულად მიღება ან განხილვა ვერ მოიტანს იმ პოზიტიურ შედეგს, რის მიღწევასაც ისახავს მიზნად შემუშავებული პაკეტი.

ცვლილებების მიღების შემთხვევაში საქართველოში მცხოვრებ ადამიანებს ექნებათ შესაძლებლობა უყურონ „ყველა ქართულ არხს“, ჰქონდეთ სრული ინფორმაცია ტელეკომპანიების დაფინანსების, ასევე, საეთერო დროის შემსყიდველ პირთა შესახებ. გარდა ამისა, დააკვიდრნენ და მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრების შერჩევის პროცესში. და ბოლოს, არ ჰქონდეთ სახელმწიფო ტელევიზია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტელერადიო დეპარტამენტის სახით.

II ნაწილი: მიმდინარე და სამომავლო რეფორმები

ტოლერანტობა, უმცირესობების კუთხით არსებული მდგომარეობა და გამოწვევები

მომხსენებელი: სოფიო ბენაშვილი, *სახალხო დამცველის ოფისი*

2012 წლის არჩევნების შემდგომ საქართველოს ახალ ხელისუფლებას უმნიშვნელოვანესი გამოწვევები დახვდა. ყველა აქ დამსწრე პირისთვის ცნობილია და სიახლეს არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მიუხედავად იმისა, რომ წლების მანძილზე საქართველოს ხელისუფლება ერთ-ერთ პრიორიტეტად ასახელებდა ადამიანის უფლებებს, რეალობა შორს იყო იდეალურისაგან, უფრო მეტიც ჩვენ, უფლებადამცველები ყოველდღიურად ვხდებოდით მოწმე როგორ ილახებოდა და ირღვეოდა ადამიანების უფლებები თითქმის ყველა სფეროში.

შესაბამისად ახალი ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს ადამიანის უფლებების ნებისმიერ სფეროში განუხრელი დაცვა უნდა წარმოადგენდეს. ადამიანთა უფლებების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს კი ყოველთვის მიეკუთვნებოდა უმცირესობათა უფლებები და დისკრიმინაციის აკრძალვა. საქართველო, როგორც მრავალეთნიკური და რელიგიური სახელმწიფო ვალდებულია განავითაროს სახელმწიფოში ტოლერანტობის კულტურა და დაიცვას ნებისმიერი უმცირესობის უფლებები.

ხელისუფლების ცვლილების პირველ ეტაპზე ადგილი ჰქონდა რამდენიმე სამწუხარო ფაქტს, რომელმაც როგორც სახალხო დამცველის, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ყურადღება მიიპყრო. ვგულისხმობ ნიგვზიანსა და წინწყაროში მომხდარ ფაქტებს, როდესაც ადგილი ჰქონდა რელიგიურ ნიადაგზე მოსახლეობას შორის დაპირისპირებას.

ამას გარდა უმნიშვნელოვანესია არ დაგვავიწყდეს, რომ როდესაც უმცირესობების უფლებებზე ვსაუბრობთ აქ არ იგულისხმება მხოლოდ რელიგიური და ეთნიკური უმცირესობები. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს ჩვენი საზოგადოების ნაწილი, რომელიც სექსუალურ უმცირესობებს მიეკუთვნება. სამწუხაროდ, ამ კუთხით საზოგადოებაში არსებული განწყობა და დამოკიდებულება მკვეთრად უარყოფითია. ამას მოწმობს არაერთი ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ახლო წარსულში.

შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ხელისუფლებამ უნდა გაატაროს ეფექტური ღონისძიებები, ერთის მხრივ ნებისმიერი უმცირესობის უფლების დარღვევის ეფექტური აღკვეთის მიზნით, ასევე გააგრძელოს ტოლერანტობის კულტურის განვითარების კუთხით მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა.

საარჩევნო რეფორმის ძირითადი მიმართულებები

მომხსენებელი: ნინო ლომჯარია, *„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“*

არჩევნების მონიტორინგისა და საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწაზე მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება საშუალებას გვაძლევს იდენტიფიცირება გავუკეთოთ საარჩევნო რეფორმის კუთხით გასატარებელ ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებებს, რომელთა განხორციელებაც რეალურ პოზიტიურ ცვლილებებს გამოიწვევს და საარჩევნო გარემოს საარჩევნო სუბიექტებისთვის უფრო სამართლიანსა და თანასწორს გახდის.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნულ საკითხებზე მუშაობა უახლოეს მოავალში დაიწყოს, რათა რეფორმით გათვალისწინებული შესაბამისი ცვლილებების განხორციელება მომავალ არჩევნებამდე გონივრული ვადით ადრე დასრულდეს.

ხელისუფლებამ შემდეგი ნაბიჯები უნდა გადადგას:

- საარჩევნო რეფორმის ფარგლებში უპირველეს ყოვლისა უნდა გადაიხედოს მოქმედი საარჩევნო სისტემა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ერთი ხმის თანასწორობის პრინციპი, ასევე, მოქალაქეების მიერ გამოხატული ნების პროპორციულად ასახვა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში;
- რეფორმის მნიშვნელოვანი კომპონენტი უნდა იყოს, ასევე, საარჩევნო ადმინისტრაციის პოლიტიკური გავლენებისაგან გათავისუფლება;
- საარჩევნო კანონმდებლობა უნდა გამორიცხავდეს ადმინისტრაციული რესურსის პარტიული მიზნებისთვის გამოყენების შესაძლებლობას, რაც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შესაბამისი ნორმატიული ბაზის დახვეწის გზით;
- უნდა გაგრძელდეს საარჩევნო სიების დაზუსტების სამუშაოები, აუცილებელია განხორციელდეს მოსახლეობის საყოველთაო-სახალხო აღწერა;
- დაიხვეწოს კანონმდებლობა პოლიტიკური გაერთიანებების დაფინანსების შესახებ. როგორც ნორატიული ბაზა, ასევე, სახელმწიფო აუდიტის სამსახური უნდა უზრუნველყოფდეს კანონის სამართლიან, გონივრულ და თანასწორ აღსრულებას;
- უნდა გადაიხედოს კენჭისყრის ცალკეული პროცედურები, რათა დაინერგოს გაყალბების თავიდან აცილების უფრო ეფექტური და მაღალტექნოლოგიური მეთოდები;
- უფრო მეტი ყურადღება მიექცეს ეთნიკური უმცირესობების სათანადო ინფორმირებას არჩევნების ყველა კომპონენტის თაობაზე;
- უნდა შეიზღუდოს სპეციალურ საარჩევნო უბნებზე ხმის მიცემის უფლების მქონე პირთა წრე.

კონკურენციის პოლიტიკა

მომხსენებელი: ერეკლე ურუშაძე, *„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“*

კონკურენციის სფეროში დღეს მოქმედი კანონმდებლობა (კანონი “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ”) 2012 წლის 8 მაისს იქნა მიღებული. ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების ფარგლებში კანონის მიღება სავალდებულო ნაბიჯი იყო. გასულ წელს პრეზიდენტის ბრძანებით ასევე დაფუძნდა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო, თუმცა ამ უწყებას კონკურენციის სფეროში რაიმე ხელშესახები საქმიანობა დღემდე არ განუხორციელებია.

გასული წლის ზაფხულში გამოქვეყნებულ ანგარიშში “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო” აღნიშნავდა, რომ ახალი კანონი წინგადადგმული ნაბიჯი იყო და კონკურენციის პოლიტიკისთვის აუცილებელ საბაზისო რეგულაციებს შეიცავდა. ამავე დროს, “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ” ხაზი გაუსვა მთელ რიგ ნაკლოვანებებს ახალ კანონში, რომლებიც სააგენტოს დამოუკიდებლობასა და უფლებამოსილებებს, კონკურენციის უმნიშვნელოდ შემზღუდავი ხელშეკრულებების დადგენის კრიტერიუმებს, ანტიკონკურენტული ქმედებების პრევენციას, და სხვა საკითხებს ეხებოდა.

ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებმა კონკურენციის კანონმდებლობის დახვეწისთვის მზადყოფნა გამოთქვეს. ამავე დროს, “საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის” მიერ მომზადდა კანონპროექტი

კონკურენციის მარეგულირებელ კანონმდებლობაში ცვლილებების შესახებ. “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო” აქტიურად თანამშრომლობდა ინსტიტუტის ექსპერტებთან კანონპროექტის მომზადების პროცესში და ასევე მონაწილეობდა კონსულტაციებში საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლებთან ხსენებულ საკითხზე. კანონპროექტი ამჟამად გადაგზავნილია დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის საპარალამენტო კომიტეტში.

რეფორმები კონკურენციის სფეროში

მომხსენებელი: ქეთევან ლაფაჩი, *საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტი*

კონკურენციის პოლიტიკის აღიარებული როლი ეკონომიკური ზრდისა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებაში, უკანასკნელ წლებში ქვეყნის სასაქონლო ბაზრების მონოპოლიზაციის გაძლიერებული ტენდენციები, კარტელური შეთანხმებების აშკარა ნიშნები და მომხმარებელთა უფლებების იგნორირების ფართო მასშტაბები (რაც სხვა ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანწილად, შედეგია ვარდების რევოლუციის შემდეგ ანტიკონკურენციული ქმედებების ამკრძალავი სამართლებრივი ნორმების გაუქმებისა და ადმინისტრაციული უმოქმედობისა) და ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებები დღის წესრიგში აყენებს კონკურენციული პოლიტიკის გადაუდებელი რეფორმის საკითხს.

მიუხედავად ევროკომისიის დაჟინებული მოთხოვნით 2010 წლიდან კონკურენციის პოლიტიკის გაჯანსაღების მიზნით განხორციელებული ღონისძიებებისა (კონკურენციის სტრატეგის შემიშავება, ფორმალურად დამოუკიდებელი კონკურენციის სააგენტოს შექმნა და 2012 წლის მაისში მიღებული ახალი კანონი “თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შესახებ”, რომელიც მის წინამორბედ-2005 წლის იგივე დასახელების კანონთან შედარებით აშკარად წინგადადგმული ნაბიჯია), რეალურად დღემდე არაფერი შეცვლილა. კანონი არსებული სახით ვერ უზრუნველყოფს კონკურენციული გარემოს გაჯანსაღებას და სააგენტოც დღემდე ფორმალურ არსებობას აგრზელებს.

კონკურენციული პოლიტიკის რეფორმა საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის შექმნის დღიდან იქცა მისი საქმიანობის ერთერთი ძირითადი მიმართულებად. Aინსტიტუტში მომზადდა და გამოქვეყნდა რამდენიმე ანალიტიკური ნაშრომი. 2012 წლის მაისში შედგა პრეზენტაცია “კონკურენციის პოლიტიკა და დარგობრივი რეგულირება საქართველოში”; გამოქვეყნდა კონკურენციის კანონმდებლობის (2005 წლის კანონის, 2012 წლის კანონის პროექტის, მოგვიანებით კი 2012 წლის კანონის) ანალიზი; 2012 წლის 5 დეკემბერს საზოგადოებას წარედგინა ინსტიტუტში მომზადებული კონკურენციის კანონისა და სააგენტოს კონცეფცია და მის საფუძველზე მომზადებული კონკურენციის შესახებ ახალი კანონის პროექტი. პროექტი წარდგენილია საკანონმდებლო წინადადებების სახით საქართველოს პარლამენტში.

საქართველოს განვითარების კვლევითი ინსტიტუტის პროექტი მიზნად ისახავს საკანონმდებლო დებულებების საერთაშორისო ნორმებთან და პრინციპებთან შესაბამისობის ხარისხის ამაღლებას და მათ იმგავარად ჩამოყალიბებას, რომ შესაბამისი პოლიტიკური ნებისა და გუნდის პირობებში შესაძლებელი იყოს მათი ეფექტიანი აღსრულება.

შრომის კანონმდებლობა

მომხსენებელი: ლევან ნატროშვილი, *„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“*

საქართველოში, შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი მთავარი ნორმატიული დოკუმენტის, შრომის კოდექსის მიმართ შენიშვნები მისი მიღების დღიდანვე აქტუალური იყო საზოგადოებაში. ძირითადი პრეტენზია მდგომარეობდა იმაში, რომ იგი არის დამსაქმებელზე ორიენტირებული ნორმატიული აქტი და დასაქმებულის შრომითი უფლებების მხოლოდ მინიმუმს ითვალისწინებს. აქედან გამომდინარე, ლოგიკური და მისასალმებელია ხელისუფლების ინიციატივა გაატაროს რეფორმა აღნიშნულ სფეროში.

იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული ცვლილებათა პროექტი შეიცავს უმნიშვნელოვანეს სიახლეებს, რომელიც არსებითად შეცვლის შრომითი ურთიერთობის უამრავ ასპექტს. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ გადადგმულია ნაბიჯი შრომითი ურთიერთობის მონაწილე მხარეებს შორის უფლებამოსილებებისა და ვალდებულებების დაბალანსების თვალსაზრისით, კერძოდ კი მნიშვნელოვნადაა გაზრდილი დასაქმებულის დაცვის ხარისხი, გაზრდილია დეკრეტული შვებულების ვადები, გართულებულია ვადიანი კონტრაქტების დადება, რაც ხელს უწყობდა ერთ თვიანი ხელშეკრულებების დადების მანკიერ პრაქტიკას; სამსახურიდან დათხოვნა კონკრეტული, კანონით განსაზღვრული საფუძვლის გარეშე შეუძლებელი ხდება; განისაზღვრა ზეგანაკვეთური სამუშაოს მინიმალური ანაზღაურება და ა.შ.

გამოვყოფდით რამდენიმე საკითხს, რომლებიც მიგვაჩნია, რომ მეტ დამუშავებას მოითხოვს.

- სამსახურიდან გათავისუფლებისას პირის წინასწარ შეტყობინების შესახებ ახალი ნორმა, რომელიც დასაქმებულს არსებულზე უფრო უარეს მდგომარეობაში აყენებს;
- კოლექტიური შრომითი ურთიერთობის დროს წარმოშობილი დავისას გაფიცვის უფლება გაუმართლებლად შეზღუდულია;
- კოლექტიური დათხოვნის მარეგულირებელი ნორმები შეიცავს რამდენიმე ბუნდოვან საკითხს, ამასთან დაუსაბუთებლად ზრდის დასაქმებულის ვალდებულებებს;
- ზედმეტად მკაცრად არის დარეგულირებული ზეგანაკვეთური ანაზღაურების საკითხებიც.

შრომითი ურთიერთობების მოწესრიგება ქვეყნის საჯარო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხია და მისი რეფორმის დროს აუცილებელია მაქსიმალურად გათვალისწინებული იქნას დასაქმებულისა და დამსაქმებლის ინტერესი, ისე, რომ ზიანი არ მიადგეს ქვეყანაში შრომით გარემოს, სამუშაო ადგილების შექმნას, საინვესტიციო კლიმატს, ადამიანის უფლებებს და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს.